<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის (ვებგვერდი, 22/06/2012. სარეგისტრაციო კოდი: 480060000005001016809) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის შესახებ დებულება მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

მუხლი 2. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.
2. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტის მიღების შემთხვევაში, მისი ამოქმედებისთანავე იურიდიულ ძალას კარგავს ამ კანონის ამოქმედებამდე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*